პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს„ ფარგლებში სსიპ _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისია შექმნილია იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 7 დეკემბრის N11 ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის №:255 / 01-01 ბრძანებითა და ამ რეგლამენტით.

1. შესარჩევი კომისიის მიზანია გამოავლინოს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე მიმდინარე სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის განსაკუთრებით ნიჭიერი 114 სტუდენტი, მათი ფინანსური წახალისების მიზნით. განსაკუთრებით ნიჭიერ სტუდენტთათვის პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსება ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებას თსუ–ში წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე.
   ასევე, ის სტუდენტები, რომლებიც წინა კალენდარულ სემესტრში იმყოფებოდნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე.

2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 7 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებულია კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   1. შორენა წენგუაშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
   2. დარეჯან მურაჩაშვილი
   3. თეონა გოგნაძე
   4. გენრიეტა ჯოხაძე
   5. მეგი როზომაშვილი

3. კომისია მუშაობს სამართლიანობისა და კანდიდატთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების პრინციპის გათვალისწინებით.

4. კომისია განიხილავს წინა სემესტრის განმავლობაში (2017 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 აგვისტომდე) საქართველოში ან საზღვარგარეთ ჩატარებულ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის/გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი /დოკუმენტები (დათარიღებული სერთიფიკატი ან ცნობა), ასეთის არსებობის შემთხვევაში. რადგანაც შერჩევა ხორციელდება წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტით არ დგინდება სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ზუსტი თარიღი, შერჩევის პროცესში დოკუმენტი არ იქნება მხედველობაში მიღებული);
   დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აზუსტებს უკვე წარმოდგენილი დოკუმენტის რომელიმე ნაწილს (მაგ: თარიღი, თემა, გამარჯვება).

5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის /ნაშრომების ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. (სამეცნიერო ნაშრომი ასევე გამოქვეყნებული უნდა იყოს წინა სემესტრში (2017 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 აგვისტომდე), რაც უნდა დასტურდებოდეს სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენილი ასლით;

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. საკონკურსო კომისიის ყოველი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კონკურსანტის სასარგებლოდ.
7. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის 114 კონკურსანტი, რომელიც წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, 100 ქულიანი სისტემით განხორციელებული შერჩევის საფუძველზე მიიღებს უფრო მაღალ შეფასებებს.

8. 100 ქულიანი სისტემის ფარგლებში სტუდენტის აკადემიური მოსწრება – ფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

9. იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებელთა სიაში ბოლო პოზიციაზე გამოიკვეთა ერთნაირი მონაცემების მქონე ორი ან მეტი კანდიდატი, შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს უფრო მაღალი GPA.

10. სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება – ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით (მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები). აქედან:

ა) უცხოენოვან ჟურნალში/ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;

ბ) გაზეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ფასდება 1 ქულით;

გ) ჟურნალში/ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ფასდება 2 ქულით;

11. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა – ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები). აქედან:

ა) ეროვნულ კონფერენციაში მონაწილეობა ფასდება 2 ქულით;

ბ) საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა ფასდება 5 ქულით;

გ) სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა ფასდება 1 ქულით;

დ) კონფერენციაში გამარჯვება ფასდება: I ადგილი – 3 ქულა; II ადგილი 2 ქულა; III ადგილი 1 ქულა;

12. ამ რეგლამენტის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტში აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით კომისია ადგენს თითოეული კრიტერიუმის შეფასების ჯამს. მონაწილე კონკურსანტთა შორის გამარჯვებულად გამოცხადდება ის 114 კონკურსანტი, რომელიც კომპონენტების შეფასებების ჯამით დააგროვებს ყველაზე მაღალ შეფასებას.

13. კონკურსში მონაწილე სტუდენტთა პრეტენზიები განიხილება კომისიის წევრების მიერ.

07.12.2017 წ.